ქალაქ თბილისის მთავრობის

დადგენილება №06.01.162

2013 წლის 19 თებერვალი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს რეორგანიზაციის, ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის შექმნის, ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირების - საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოსა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის წესდებების (დებულებების) დამტკიცების შესახებ.“ ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 22 ივლისის №19.04.793 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისის მთავრობა **ადგენს:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს რეორგანიზაციის, ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის შექმნის, ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირების - საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოსა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის წესდებების (დებულებების) დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 22 ივლისის №19.04.793 დადგენილების (გამოქვეყნებულია სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ 110725041, 26/07/2011) დანართი 1-ით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს წესდებაში (დებულებაში) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

ა) მე-6 მუხლის მე-9 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-6 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. ისანი-სამგორის რაიონული განყოფილება (რაზმი), მასში შემავალი ოთხი ხანძარსაწინააღმდეგო (ასეული), ერთი სამაშველო (ასეული) და ერთი შინაური და გარეული ცხოველების კონტროლისა და რეგულირების (ასეული) ნაწილით.“;

გ) მე-6 მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. ვაკე-საბურთალოს რაიონული განყოფილება (რაზმი), მასში შემავალი ორი ხანძარსაწინააღმდეგო (ასეული), ერთი სამაშველო (ასეული), ერთი კავშირგაბმულობის ნაწილით და ერთი წყალზე მაშველების ნაწილით.“;

დ) მე-6 მუხლის მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. მთაწმინდა-კრწანისის რაიონული განყოფილება (რაზმი) მასში შემავალი ხუთი ხანძარსაწინააღმდეგო (ასეული) და ერთი სამაშველო (ასეული) ნაწილით.“

მუხლი 2

მე-6 მუხლის მე-17 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) სააგენტოს თანამშრომელთა თეორიული და პრაქტიკული მომზადება/გადამზადება და ამისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება“.

მუხლი 3

ეს დადგენილება ძალაშია 2013 წლის 1 მარტიდან.

ქ. თბილისის მერის მოადგილე **დავით ალავიძე**